

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



რეფორმეტრი

გადახდისუუნარობის რეფორმის შეფასებითი ანგარიში

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი

2023

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა არ წარმოადგენს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

სარჩევი

გადახდისუნარობის რეფორმის შესახებ.....	3
რეფორმეტრის მეთოდოლოგია	3
რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტების პროგრესის შეფასება	4
დაინტერესებული მხარეების შეფასება	6
საჯარო-კერძო დიალოგი	6
რეფორმის მონიტორინგის ობიექტური ინდიკატორები	9
1. გადახდისუნარობის საქმეთა რაოდენობა	9
1.1. გადახდისუნარობის საქმეთა რაოდენობა (საქართველოს უზენაესი სასამართლო)	9
1.1.1. წლის დასაწყისში არსებული გადახდისუნარობის საქმეების ნაშთი	9
1.1.2. სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა	10
1.1.3. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები.....	11
1.2. გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა (ecourt.ge).....	12
2. რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარე საქმეების წილი წამოწყებულ გადახდისუნარობის საქმეებში	13
3. გადახდისუნარობის საქმეების მიმდინარეობის ხანგრძლივობა.....	13
3.1 დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ხანგრძლივობა.....	13
3.2 გადახდისუნარობის საქმეთა საქმისწარმოების ხანგრძლივობა	15
დანართი I. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი.....	17
დანართი II. საჯარო-კერძო დიალოგზე გამოყენებული პრეზენტაცია	18

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

გადახდისუნარობის რეფორმის შესახებ

გადახდისუნარობის მიმდინარე რეფორმამდე, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს გადახდისუნარობის საქმის წარმოებას, არ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს - ის არ აკმაყოფილებდა არც კრედიტორების და არც მოვალეების საჭიროებებს და არ აძლევდა სტიმულს გადახდისუნარო კომპანიებს, რომ აერჩიათ რეაბილიტაცია, როგორც ფინანსური სირთულეების გადაჭრის ოპტიმალური სტრატეგია. ამგვარი ბარიერების გადასალახად, 2021 წლის აპრილში, საფუძვლიანი განხილვის შემდეგ, საქართველოში ამოქმედდა ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. როგორც კანონის სახელიდან ჩანს, მისი მთავარი მიზანია კრედიტორების კოლექტიური დაკმაყოფილება კომპანიის რეაბილიტაციის გზით, „ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით.“¹. კანონი გადახდისუნარობის პროცესის ეფექტურობას აუმჯობესებს, ქმნის რამდენიმე ინოვაციურ მექანიზმს და არსებითად ცვლის იმ ინსტიტუციურ სტრუქტურას, რომელიც არეგულირებდა გადახდისუნარობის საქმის წარმოებას.

რეფორმეტრის მეთოდოლოგია

რეფორმეტრის ფარგლებში შერჩეული ეკონომიკური რეფორმები 3 ძირითადი ინსტრუმენტის გამოყენებით ფასდება:

1. **სამთავრობო კვლევა** ხარისხობრივი გამოკითხვის გზით აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამნერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-100% შუალედში ზომავს რამდენად ახლოს არიან რეფორმის დამნერგავი უწყებები რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.
2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის** ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (მეტი დეტალი დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შესახებ იხილეთ დანართ 1-ში).
3. რეფორმის პროგრესის შესაფასებლად ასევე გამოყენებულია კონკრეტულ რეფორმაზე მორგებული **ობიექტური ეკონომიკური ინდიკატორები**.

გადახდისუნარობის რეფორმის შეფასება აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტს. თუმცა, რადგან რეფორმის დანერგვა მთავრობის აქტივობების ნაწილში

¹ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი. <https://matsne.gov.ge/en/document/download/4993950/0/en/pdf#:~:text=The%20purpose%20of%20this%20Law,sale%20of%20an%20insolvency%20estate.>

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

თითქმის დასრულებულია, სამთავრობო გამოკითხვის კომპონენტი მცირედით მოდიფიცირდა. იგი მოიცავს პროგრესის მხოლოდ ხარისხობრივ შეფასებას და აკვირდება თუ რამდენად შეესაბამება რეფორმის დანერგვის პროცესი წინასწარ გაწერილ გეგმას, რომელიც იდენტიფიცირდა კვლევისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად.

პასუხისმგებელი სამთავრობო ინსტიტუტების პროგრესი რეფორმის განხორციელებაში შეფასდა იმ ეტაპების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილი იყო რეფორმის განხორციელების დღის წესრიგით სამაგიდე კვლევისა და რეფორმის ძირითადი დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე (მათ შორის, საქართველოს მთავრობა, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა და ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია (BRIPA)).

გადახდისუნარობის რეფორმის მეორე შეფასება ჩატარდა 2022 წლის 20 დეკემბერს. მთლიანობაში, პროექტ „რეფორმეტრის“ ფარგლებში დაგეგმილია სამი შეხვედრის ჩატარება საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატით (PPD). ამრიგად, გადახდისუნარობის რეფორმა პროექტის ფარგლებში კიდევ ერთხელ და საბოლოოდ 2023 წლის დეკემბერში შეფასდება.


რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტების პროგრესის შეფასება

საქართველოში გადახდისუნარობის რეფორმას რამდენიმე ინსტიტუტი ახორციელებს. პროცესის მხარდამჭერია იუსტიციის სამინისტრო. გარდა ამისა, ახალი კანონის თანახმად, რეფორმის განხორციელების პროცესში მართლმსაჯულების სისტემის ორ სსიპ-ს მიენიჭა მნიშვნელოვანი როლი. აღსრულების ეროვნულ ბიუროს² მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს რამდენიმე აქტივობა, რომელიც ეხება „ინფრასტრუქტურას და ბიუჯეტს“ და „ინსტიტუციურ მოწყობას“, ხოლო იუსტიციის სასწავლო ცენტრი (TCJ) განისაზღვრა, როგორც ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამის შემუშავებასა და მართვაზე. ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია (BRIPA) რეფორმის განმახორციელებელი კიდევ ერთი ცენტრალური ინსტიტუტია, რომელიც წარმოადგენს სფეროს პროფესიონალებს - გადახდისუნარობის პრაქტიკოსებს და კერძო სექტორს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში დეტალურადაა განხილული რეფორმასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები, მათი მიმდინარე სტატუსი და შესაბამისი განმახორციელებელი უწყებები 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

გრაფიკი 1: რეფორმასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები, მათი მიმდინარე სტატუსი და შესაბამისი განმახორციელებელი სააგენტოები

² გადახდისუნარობის წინა საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში გადამწყვეტი როლი ჰქონდა - იგი მოქმედებდა გადახდისუნარობის პროცესში სავალდებულო მეურვედ; კანონით განსაზღვრულ გარკვეულ შემთხვევებში კი ბიურო ხელმძღვანელობდა კომპანიის გაკოტრების პროცესს და გადახდისუნარო კომპანიებს სთავაზობდა აუქციონის მომსახურებას.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



რეფორმის პროგრესის ხარისხობრივმა შეფასებამ აჩვენა, რომ მთლიანობაში, გადახდისუნარობის რეფორმა წარმატებით ხორციელდება - დამნერგავმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს რეფორმაში შემავალი ყველა ძირითადი მიმართულებით. წინა საანგარიშო პერიოდისგან (2021 წლის დეკემბერი) განსხვავებით, BRIPA-მ შექმნა ცხელი ხაზის მომსახურება INSOLAID. ამჟამად ორგანიზაცია გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შექმნაზე მუშაობს. გარდა ამისა, ასოციაცია აქტიურად ატარებს სხვადასხვა პროფესიულ და ცნობიერების ასამაღლებელ სასწავლო კურსსა და სემინარს.

მიუხედავად აქტივობების განხორციელებისას მიღწეული წარმატებისა, რეფორმის დანერგვის პროცესში არის გარკვეული დაბრკოლებები. მაგალითად, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ჯერ კიდევ არ შეუქმნია გადახდისუნარობის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა. სისტემის შემუშავების პროცესი ჯერ არ დაწყებულა. გარდა ამისა, გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა რეესტრი ფუნქციონირებს მცირე ხარვეზებით - რეესტრის ალგორითმი არათანაბარი დატვირთვის ქვეშ აყენებს ზოგიერთ გადახდისუნარობის პრაქტიკოსს. დაბოლოს, იმისათვის, რომ კერძო სექტორმა ახალი კანონით სრული სარგებელი მიიღოს, საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევა მათი ცნობიერების ასამაღლებლად.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

რაც შეეხება სამომავლო აქტივობებს, გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიების განსაზღვრა და იურიდიული პირებისთვის გადახდისუნარობის პრაქტიკოსებად ავტორიზების უზრუნველყოფა კვლავ შესაბამისი პასუხისმგებელი ინსტიტუტების დღის წესრიგში დგას. გარდა ამისა, გადახდისუნარობის საქმეების მარეგულირებელ სამართლებრივ სისტემაში არსებული გარკვეული დაბრკოლებების გადასაჭრელად დაინტერესებული მხარეები (მაგ. BRIPA) გადახდისუნარობის მოქმედ კანონში საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას გეგმავენ.

დაინტერესებული მხარეების შეფასება

გადახდისუნარობის რეფორმის შესახებ მეორე PPD ღონისძიებას ესწრებოდნენ რეფორმის ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები, როგორიცაა აღსრულების ეროვნული ბიურო, ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაცია (BRIPA), თბილისის საქალაქო სასამართლო და იუსტიციის სასწავლო ცენტრი. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ შემოსავლების სამსახურის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციის (SMEDA) წარმომადგენლები.

მთლიანობაში, დაინტერესებულმა მხარეებმა გადახდისუნარობის რეფორმა 8.18 ქულით შეაფასეს, რაც რეფორმის წარმატებით განხორციელებაზე მიუთითებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეფორმამ მაღალი შეფასება დაიმსახურა დაინტერესებულ მხარეთა კითხვარის ყველა კომპონენტში. დაინტერესებული მხარეების მიერ პირველი PPD ღონისძიების დროს გაკეთებულ შეფასებასთან შედარებით, გადახდისუნარობის რეფორმის განხორციელების ზოგადი ქულა 0.43-ით გაიზარდა. "შინაარსისა და ადეკვატურობის" კომპონენტში დაინტერესებული მხარეების შეფასება 0,72 ქულით შემცირდა, ხოლო "რეფორმის პროგრესისა" და "მოსალოდნელი შედეგების" კომპონენტების შეფასება, შესაბამისად 2,36 და 0,36 ქულით გაიზარდა.

ზოგადი შეფასება



საჯარო-კერძო დიალოგი

PPD-ის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები გადახდისუნარობის რეფორმის მნიშვნელობის შესახებ და წარმოადგინეს რეფორმის უკეთ განხორციელების შესაძლო გზები. მონაწილეთა თქმით, რეფორმა წარმატებით ასტიმულირებს ბიზნესების რეაბილიტაციას.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

თუმცა იმისათვის, რომ რეფორმამ სასურველ შედეგებს მიაღწიოს, საჭიროა გარკვეულ გამოწვევებთან გამკლავება.

ქვემოთ შეჯამებულია PPD ღონისძიებაზე გამოთქმული მოსაზრებები:

- აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა ღონისძიების მონაწილეებს ორგანიზაციის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული აქტივობების პროგრესთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია. როგორც აღინიშნა, სააგენტო 2023 წელს გეგმავს იურიდიული პირების გადახდისუნარობის პრაქტიკოსებად ავტორიზაციასა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა რეესტრის ალგორითმის დახვეწას. რაც შეეხება გადახდისუნარობის საქმეთა წარმოების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნას, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის თქმით, ამ პროცესს დრო და დონორთა მხარდაჭერა სჭირდება. ამ საკითხთან დაკავშირებით ბიუროს აქვს კომუნიკაცია რამდენიმე დონორ ორგანიზაციასთან, თუმცა პროცესის სამუშაო გეგმა ჯერჯერობით შემუშავებული არ არის. ღონისძიებაზე ასევე აღინიშნა, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო განიხილავს გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა კატეგორიზაციას 2024 წლისთვის, რადგან ამ მომენტისთვის გადახდისუნარობის პრაქტიკოსების კატეგორიზაციის საჭიროება არ ღვას, უკვე სერტიფიცირებული პრაქტიკოსების მცირე დატვირთვის გათვალისწინებით.
- გადახდისუნარობის რეფორმა მიმოიხილა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმაც, რომელმაც ხაზი გაუსვა რეფორმასთან დაკავშირებულ რამდენიმე გამოწვევას შემოსავლების სამსახურის, როგორც გადახდისუნარობის საქმეთა უმეტესობაში წარმოდგენილი კრედიტორის გადმოსახედიდან:
 - უპირველეს ყოვლისა, აღინიშნა, რომ არსებობს ტექნიკური ბარიერები, რომლებიც აფერხებს რეფორმის ეფექტურად განხორციელებას. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად ქვეყნდება სხვადასხვა დროს ორ პლატფორმაზე - ecourt.ge და matsne.gov.ge. კანონის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა არის გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ხუთი დღე და ხშირად რთულია იმის დადგენა, თუ გამოქვეყნების რომელი თარიღიდან უნდა დაიწყოს ხსენებული ვადის ათვლა. ამრიგად, სასურველია, რომ მხოლოდ ერთ პლატფორმას მიენიჭოს პრიორიტეტი საკანონმდებლო დონეზე.
 - გარდა ამისა, აღინიშნა, რომ გადახდისუნარობის საქმეების ელექტრონული სერვისი – ecourt.ge – ფუნქციონირებს შესამჩნევი ხარვეზებით. ხშირად რთულია ვებ-გვერდზე ნავიგაცია, რადგან გადახდისუნარობის საქმეების მოძიება მათი საიდენტიფიკაციო ნომრებით შეუძლებელია. ასევე, საქმეები განლაგებულია იმ თარიღის მიხედვით, როდესაც საქმეზე პირველი განჩინება გამოიცა. ამის ნაცვლად, უკეთესი იქნება, თუ ვებ-გვერდზე არსებული საქმეები მათი განახლებების მიხედვით განლაგდება - ანუ ecourt.ge-ზე პირველად გამოჩნდება ის საქმეები, რომელთა დაკავშირებითაც ყველაზე ბოლოს გამოიცა განჩინება.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

- ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქართველი მოსამართლეები ზოგჯერ მიღებული კანონის მუხლების ნაცვლად შეცდომით იყენებენ გადახდისუნარობის ძველი კანონპროექტის მუხლებს, რაც შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს დამატებით სირთულეებს უქმნის მუშაობის პროცესში. თუმცა, თანდათან აღნიშნული გამოწვევა გვარდება და უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, ის აღარ იქნება აქტუალური.
- შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ახალი კანონი უნდა დაზუსტდეს გარკვეულ შემთხვევებში. მაგალითად, კანონის 55-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შემთხვევაში არასწორადაა ნახსენები გადახდისუნარო კომპანიების მიმართ აღსრულების უზრუნველყოფის გარკვეული ღონისძიებების შეჩერება, მათი ანულირების ნაცვლად (უმჯობესია დაკონკრეტდეს კონკრეტულად რომელ აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებას შეესაბამება ტერმინი „შეჩერება“).
- უფრო ზოგადი თვალსაზრისით, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი და ახალი გადახდისუნარობის კანონი ზოგ შემთხვევაში არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან, რადგან საგადასახადო კოდექსი არ იცნობს გადახდისუნარობის ახალ კანონში წარმოდგენილ ტერმინებსა და ინოვაციურ მექანიზმებს. (მაგ. რეგულირებული შეთანხმების, რეაბილიტაციის გაკოტრების რეჟიმზე კონვერსიის შესაძლებლობებს და ა.შ.).
- ღონისძიებაზე ასევე განიხილეს მცირე და საშუალო საწარმოების დაინტერესება გადახდისუნარობის ახალი რეფორმის მიმართ. როგორც აღინიშნა, საქართველოში პანდემიას უარყოფითი გავლენა ჰქონდა ბევრ ბიზნესზე, რასაც ბიზნესების მიმართვიანობა სასამართლოებში გადახდისუნარობის საქმეების წამოწყებაზე უნდა გაეზარდა, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი პანდემიის ფონზე არ მომატებულა. როგორც აღინიშნა, ამკარაა, რომ ბიზნეს სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული კორპორატიული მენეჯმენტის კულტურა, ჯერ კიდევ არ იცნობს საკმარისად ახალი საკანონმდებლო ბაზის სიკეთეებს. უნდა აღინიშნოს, რომ BRIPA მუშაობს ამ მიმართულებით და დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა, რათა ახალი კანონის შესახებ ბიზნესების ცნობიერება აამაღლოს. ერთ-ერთი ასეთი დამხმარე ინსტრუმენტია INSOL AID, ცხელი ხაზი, სადაც ბიზნესს შეუძლია მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია ქვეყანაში გადახდისუნარობის პროცედურების შესახებ. დამატებით აღინიშნა ისიც, რომ უნდა მოხდეს ბიზნეს სექტორში INSOLAID-ის პოპულარიზაცია.
- დიალოგის დასკვნით ნაწილში მიმოიხილეს იუსტიციის სასწავლო ცენტრის პოზიცია გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ტრენინგ მოდულთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, არსებობს პრაქტიკოსთა სასერთიფიკატო მოდულის დახვეწის საჭიროება, მისი შინაარსობრივი მოდიფიცირება და დროში კორექცია. ასევე მნიშვნელოვანია დამატებითი სასწავლო მასალის შექმნა. ცენტრის ინფორმაციით, ამ

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ეტაპზე არსებობს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების მსურველი 30 აპლიკანტი.

რეფორმის მონიტორინგის ობიექტური ინდიკატორები

პროექტ „რეფორმების“ ფარგლებში რეფორმასთან დაკავშირებული ობიექტური ინდიკატორების მონიტორინგი რეფორმის პროგრესის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. შერჩეული ინდიკატორები ეფუძნება შემდეგი ორი ძირითადი წყაროდან მოპოვებულ მონაცემებს: ა. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ბ. სასამართლო საქმეების რეგისტრაციის ელექტრონული პორტალი – ecourt.ge³. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები მოიცავს პერიოდს 2011 წლიდან 2021 წლამდე. აღნიშნული მონაცემები მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობის ზოგადი დინამიური ანალიზის საშუალებას იძლევა (მაგ. გადახდისუუნარობის საქმეთა ნაშთი, წამოწყებული და დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეები). უზენაესი სასამართლოდან მიღებული მონაცემებისგან განსხვავდება ecourt.ge-ს ანალიზის შედეგად შემუშავებული ინდიკატორები. პლატფორმა ecourt.ge-ზე შეგიძლიათ მოიძიოთ ნებისმიერი სიახლე გადახდისუუნარობის საქმეებთან დაკავშირებით 2019 წლის მაისიდან გამოცემული განჩინებების სახით. შესაბამისად, ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ისეთი დეტალური ინდიკატორების ნახვა და შედარება, როგორებიცაა გადახდისუუნარობის პროცესის ხანგრძლივობა და რეაბილიტაციის რეჟიმის წილი წამოწყებულ გადახდისუუნარობის საქმეებში წინა და მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში.

1. გადახდისუუნარობის საქმეთა რაოდენობა

1.1. გადახდისუუნარობის საქმეთა რაოდენობა (საქართველოს უზენაესი სასამართლო)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ გადახდისუუნარობის სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად, არის სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში წამოწყებული და დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა. ზოგადი სურათის უკეთ აღსაქმელად, პირველ რიგში განვიხილავთ სამ ინდიკატორს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზოგად მონაცემებს: წლის დასაწყისში არსებული გადახდისუუნარობის საქმეების ნაშთი, სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა და დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა⁴.

1.1.1. წლის დასაწყისში არსებული გადახდისუუნარობის საქმეების ნაშთი

წლის დასაწყისში არსებული განსახილველი საქმეების ნაშთი შეიძლება ჩაითვალოს გადახდისუუნარობის საქმეების განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოების დატვირთვის მაჩვენებლად. გრაფიკი 2 გვიჩვენებს, რომ წლის დასაწყისში


³ www.ecourt.ge

⁴ გადახდისუუნარობის საქმეები, რომელთა განხილვაც დასრულდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

არსებული გადახდისუუნარობის საქმეების ნაშთი საანგარიშო პერიოდში იზრდებოდა, თუმცა სხვადასხვა ტემპით. უფრო ზუსტად, 2020 წელს ასეთი საქმეების რიცხვი თითქმის 20-ით გაიზარდა, ხოლო გასულ წელს ნაზრდი შენეულა და მხოლოდ 2 საქმე შეადგინა.

გრაფიკი 2. წლის დასაწყისში არსებული გადახდისუუნარობის საქმეების ნაშთი წლის დასაწყისში




წყარო: უზენაესი სასამართლო

1.1.2. სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა

კომპანიის გადახდისუუნარობა ჯანსაღი საბაზრო მოვლენაა. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად ლოგიკურია იმის მოლოდინი, რომ ბიზნესების გადახდისუუნარობა მოიმატებს. ამრიგად, 2020 წლის მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის შემდეგ, სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა უნდა გაზრდილიყო. გრაფიკი 3-დან ნათლად ჩანს საპირისპირო დინამიკა, რომ 2020 წელს სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა შემცირდა. 2021 წელს დაფიქსირდა მაჩვენებლის უმნიშვნელო ზრდა, თუმცა ეს ინდიკატორი კვლავ დაბალი იყო 2012-2019 წლებთან შედარებით. ამგვარი ტენდენცია, სავარაუდოდ, განპირობებული იყო Covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით მკაცრი საკარანტინო და სოციალური დისტანცირების ზომების შემოღებით ქვეყანაში, რამაც სასამართლოების ფუნქციონირებაც შეაფერხა.

გრაფიკი 3. სასამართლოსთვის გადაცემული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა




წყარო: უზენაესი სასამართლო

1.1.3. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები

ეს ინდიკატორი ასახავს დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების დინამიკას ქვეყანაში⁵. ჩვენ ვაკვირდებით დასრულებული საქმეების აბსოლუტურ მაჩვენებლებს და მათ ფარდობას წლის დასაწყისში გადახდისუნარობის საქმეთა ნაშთთან. გრაფიკი 4-ის მიხედვით, გადახდისუნარობის დასრულებული საქმეების როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მნიშვნელობები საკმაოდ ცვალებადი დინამიკით ხასიათდებოდა საანგარიშო პერიოდში. ამგვარად ივარაუდება, რომ გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტემპი და ეფექტურობის მაჩვენებელი ქვეყანაში საკმაოდ დაბალი იყო. ინდიკატორის გაუმჯობესება არ ფიქსირდება არც 2021 წელს, ახალი კანონის მიღების პარალელურად. ეს გასაკვირი არ არის, რადგან 2021 წლის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, განპირობებულია წინა კანონმდებლობის დროს დაწყებული საქმეების დასრულებით.

გრაფიკი 4. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეები



წყარო: უზენაესი სასამართლო


⁵ გადახდისუნარობის საქმეები, რომელთა განხილვაც დასრულდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

1.2. გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობა (ecourt.ge)

უზენაესი სასამართლოს მონაცემებთან ერთად ჩვენ განვიხილავთ სასამართლო საქმეთა ელექტრონულ პორტალ ecourt.ge-ზე გამოქვეყნებულ მონაცემებსაც. ამ პორტალზე მოცემულია ინფორმაცია გადახდისუნარობის საქმეების შესახებ, რომლებიც განახლდა ან დაიწყო 2019 წლის მაისის შემდეგ, მათ შორის არის ისეთი საქმეებიც, რომლებიც რეგულირდება ახალი კანონმდებლობით. გრაფიკი 5 ასახავს ახალი კანონის ფარგლებში წამოწყებული გადახდისუნარობის საქმეების რაოდენობას. როგორც სურათიდან ჩანს, გადახდისუნარობის საქმეთა წამოწყების შესახებ გაკეთებული 80 განაცხადიდან 31 დაკმაყოფილდა. წამოწყებული საქმეებიდან, 13 დაიწყო რეაბილიტაციის რეჟიმით, საიდანაც 2 კონვერსირდა გაკოტრების რეჟიმში, 3 საქმე, ბოლო განახლებების თანახმად, რეაბილიტაციის რეჟიმით ახლაც მიმდინარეობს, 1 საქმე შეწყდა ხოლო 7 ბიზნესის შემთხვევაში წარმატებულად დამტკიცდა რეაბილიტაციის გეგმა⁶. რაც შეეხება გაკოტრების რეჟიმით წამოწყებულ საქმეებს, 20 საქმიდან 17 ჯერ კიდევ მიმდინარეა, ორი გაკოტრების საქმე შეწყდა, ხოლო ერთი კომპანია ლიკვიდირებულია.

გრაფიკი 5. გადახდისუნარობის საქმეების მიმოხილვა



წყარო: ecourt.ge


⁶ რეაბილიტაციის საქმეს წარმატებით დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულია სასამართლოს მიერ.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

2. რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარე საქმეების წილი წამოწყებულ გადახდისუნარობის საქმეებში

გადახდისუნარობის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია რეაბილიტაციის გზით სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების გადარჩენა, აქედან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ახალი გადახდისუნარობის კანონმდებლობის ფარგლებში ბევრი რეაბილიტაციის საქმე დაიწყოს და წარმატებით დასრულდეს. ცხადია, ამ მიმართულებით გარკვეული დადებითი ტენდენციები შეინიშნება. როგორც გრაფიკი 6-დან ჩანს, მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში, რეაბილიტაციის რეჟიმით წამოწყებული გადახდისუნარობის საქმეების წილი 35 პროცენტს შეადგენს. იმავდროულად, იგივე მაჩვენებელი წინა კანონის მოქმედების დროს მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენდა.

გრაფიკი 6. რეაბილიტაციის რეჟიმით მიმდინარე საქმეების წილი



წყარო: ecourt.ge

3. გადახდისუნარობის საქმეების მიმდინარეობის ხანგრძლივობა

გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივი და არაეფექტური მიმდინარეობა წინა საკანონმდებლო ბაზის მთავარ ნაკლად მიიჩნეოდა. აქედან გამომდინარე, გადახდისუნარობის მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მიზანია წაახალისოს წამოწყებული გადახდისუნარობის საქმეების სწრაფი გადაწყვეტა. ამ მიზნით, ახალი კანონი ითვალისწინებს 4 და 9 თვით ვადას რეგულირებული შეთანხმებისა და რეაბილიტაციის რეჟიმის დასასრულებლად.


გადახდისუნარობის საქმეთა ხანგრძლივობის დინამიკის მონიტორინგი შესაძლებელია შემდეგ ორ ინდიკატორზე დაკვირვებით: ა) დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ხანგრძლივობა; ბ) გადახდისუნარობის მიმდინარე საქმეების ხანგრძლივობა.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

3.1 დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ხანგრძლივობა

როგორც გრაფიკი 7 გვიჩვენებს, დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც იზომება დაწყებიდან გადახდისუნარობის საქმის დასრულებამდე არსებული დროის რაოდენობით წლებში, საანგარიშო პერიოდში შედარებით სტაბილურია. ხანგრძლივობის მაჩვენებელი მერყეობს 4,32-დან (2019) 4,8-მდე (2022). მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება 2022 წელს, რაც ნაწილობრივ განპირობებულია ერთი დასრულებული საქმით, რომელიც 2022 წლამდე 20 წლის განმავლობაში გაგრძელდა.

გრაფიკი 7. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი (2019-2022)




წყარო: ecourt.ge

თუ დეტალურად დავაკვირდებით ყოველი საქმის წარმოების ხანგრძლივობას (გრაფიკი 8), შევნიშნავთ რამდენიმე საინტერესო ტენდენციას. ცხადია, რომ ახალი კანონის ფარგლებში წამოწყებული (როგორც ეს ყვითელი სამკუთხედიტაა ნაჩვენები) საქმეების მიმდინარეობის საშუალო ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად ნაკლებია წინა კანონის ფარგლებში წამოწყებული და დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობაზე (როგორც ეს წითელი სამკუთხედიტაა ნაჩვენები). თუმცა ახალი კანონით მიმდინარე საქმეების ინტერპრეტირებისას მნიშვნელოვანია, გამოვიჩინოთ სიფრთხილე. მაგალითად, 2023 წლის იანვრის მდგომარეობით ჯერ კიდევ მიმდინარეობს გაკოტრების 17 საქმე (აქედან ორი რეაბილიტაციის რეჟიმიდან კონვერსირდა გაკოტრების რეჟიმში) და სანამ მათი უმეტესობა დასრულებული არ არის, შესაძლოა სათანადოდ ვერ შევაფასოთ ახალი რეგულაციის ზეგავლენა.

გრაფიკი 8. დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების გადანაწილება საქმისწარმოების ხანგრძლივობის მიხედვით (2019-2022)

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა




წყარო: ecourt.ge

3.2 გადახდისუნარობის საქმეთა საქმისწარმოების ხანგრძლივობა

გადახდისუნარობის საქმეთა საქმისწარმოების ხანგრძლივობის დინამიკის შეფასების კიდევ ერთი მაჩვენებელია გადახდისუნარობის მიმდინარე საქმეების ხანგრძლივობა. ეს ინდიკატორი ზომავს თუ რამდენი ხანია გრძელდება საშუალოდ ან მედიაწარად ის საქმეები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს. როგორც გრაფიკი 9 გვიჩვენებს, გადახდისუნარობის მიმდინარე საქმეთა მედიაწარად და საშუალო ხანგრძლივობა მუდმივად იზრდებოდა წლების განმავლობაში (მიუხედავად ამისა, მედიაწარად ხანგრძლივობის მცირედით შემცირება შეინიშნებოდა 2021 წლის შუაში). აღნიშნული ტენდენცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წინა კანონის ფარგლებში წამოწყებული საქმეების განხილვის ხანგრძლივ პროცესს, რაც ზრდის საშუალო მაჩვენებელს.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

გრაფიკი 9. გადახდისუნარიობის მიმდინარე საქმეთა საშუალო და მედიანური ხანგრძლივობა (2019-2022).



წყარო: ecourt.ge

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

დანართი I. დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი

გთხოვთ, მიუთითოთ რამდენი ქულით შეაფასებდით რეფორმას თითოეული მიმართულებით 10-ქულიან შკალაზე (1-ყველაზე დაბალი შეფასება, 10-საუკეთესო შეფასება):

შინაარსი და ადეკვატურობა

1. რამდენად პასუხობს რეფორმის მიზნები ქართულ რეალობაში არსებულ გამოწვევებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

2. როგორ შეაფასებდით რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

პროგრესი

1. როგორ შეაფასებდით რეფორმის ფარგლებში დღეის მდგომარეობით გატარებულ ღონისძიებებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

2. რამდენად უწყობს ხელს რეფორმის ფარგლებში გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებები ეკონომიკური ზრდის შემზღუდველი ფაქტორების მოხსნას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

არსებული ვითარება

1. როგორ შეაფასებდით გადახდისუნარიობის სფეროში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობას?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

მოსალოდნელი შედეგები

1. მიაღწევს თუ არა რეფორმა დასახულ მიზნებს?

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

2. არის თუ არა რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებები დასახული მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზა?


1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

დანართი II. საჯარო-კერძო დიალოგზე გამოყენებული პრეზენტაცია

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



რეფორმები

შენი გზამკვლევი რეფორმებში

შენიშვნა: ამ პროგრამის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. პროგრამაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.

დღის წესრიგი



- გადახდისუნარიობის რეფორმის შედეგებისა და ინდიკატორების წარდგენა
- რეფორმის პრაქტიკაში მიმდინარეობის მიმოხილვა
- საჯარო-კერძო დიალოგი და რეფორმის შეფასება დაინტერესებული მხარეების მხრიდან



პროექტის შესახებ



- რეფორმეტრის მიზანია შერჩეული ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი, რეფორმით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და რეფორმის განმახორციელებელი სამთავრობო უწყებების მხარდაჭერა რეფორმის ცნობადობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- რეფორმეტრის პირველი ფაზა: 2017-2019 წლები
- პროექტის ახალი ეტაპი: 2021-2024 წლები
- სამიზნე რეფორმები:
 - კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმა
 - საჯარო შესყიდვების რეფორმა
 - გადახდისუუნარობის რეფორმა
 - წყლის რესურსების მართვის რეფორმა
 - ელექტრონული კომერციის რეფორმა
 - ტურიზმის რეფორმა
 - რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ინსტიტუციონალიზაციის რეფორმა
 - სახელმწიფო საწარმოების რეფორმა

პროექტის მეთოდოლოგია



1. **სამთავრობო კვლევა** - რეფორმის დანერგვაში ჩართული უწყებების მიერ რეფორმის პროგრესის შეფასება;
2. **დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა** - კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან დაინტერესებულ პირთა მიერ რეფორმის და მისი პროგრესის შეფასება;
3. **ობიექტური ეკონომიკური ინდიკატორები** - პროექტის გუნდის მიერ შემუშავებული ინდიკატორები რეფორმის მიმდინარეობასა და მიღებულ შედეგებზე დასაკვირვებლად

გადახდისუნარიობის რეფორმის შუალედური შედეგები და მიზნები



საკანონმდებლო
ჩარჩო

გადახდისუნარიობის საქმის
წარმოების ეფექტიანობა
გაუმჯობესებულია

ინფრასტრუქტურა
და ბიუჯეტი

გადახდისუნარიობის საქმეების
განაწილებისა და ტექნიკური
მართვის ეფექტურობა გაზრდილია

ინსტიტუციური
მოწყობა

პრაქტიკოსთა ინსტიტუტი
გამდიერებულია

კომპეტენციების
გამდიერება

პრაქტიკოსთა
კვალიფიკაცია
ამაღლებულია

ცნობიერება ახალ
საკანონმდებლო
ჩარჩოზე გაზრდილია

საწარმოს აქტივების ღირებულება და
კრედიტორთა მოთხოვნების ამოღების
მაჩვენებელი გაზრდილია

გადახდისუნარიობის საქმის წარმოების
საშუალო ხარგრძლივობა შემცირებულია

რეაბილიტირებული ბიზნესების რაოდენობა
გაზრდილია


ბიზნეს გარემო გაუმჯობესებულია

მმართველობის ხარისხი გაუმჯობესებულია


შუალედური შედეგები

რეფორმის მიზნები

გადახდისუუნარობის რეფორმის აქტივობები | საჯარო-კერძო დიალოგის მდგომარეობით



გადახდისუუნარობის რეფორმის მიმდინარე აქტივობები




რეფორმის პირველადი შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ



ზოგადი შეფასება




შინაარსი და ადეკვატურობა




არსებული ვითარება



პროგრესი



მოსალოდნელი შედეგები



USAID
აშშ-ის საგარეო
დახმარების
აგენტობა

ISSET POLICY
INSTITUTE
International school of economics at TSU



გადახდისუნარიობის რეფორმის შეფასების ინდიკატორები




USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა




განსახილველი გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა



გადახდისუუნარობის საქმეთა ნაშთი წლის დასაწყისში



საანგარიშო პერიოდში შემოსული გადახდისუუნარობის საქმეები




წყარო: უზენაესი სასამართლო



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა




დასრულებული გადახდისუუნარობის საქმეების რაოდენობა




წყარო: უზენაესი სასამართლო

Ecourt-ის ბაზაში წარმოდგენილი საქმეები



წყარო: www.ecourt.ge

გადახდისუუნარობის საქმეები ძველი კანონის ქვეშ



წყარო: www.ecourt.ge




USAID
ამერიკელი საზღვარგარეთის განვითარების

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ISSET POLICY INSTITUTE
International school of economics at TSU

გადახდისუუნარობის საქმეები ახალი კანონის ქვეშ



წყარო: www.ecourt.ge




USAID
ამერიკელი საზღვარგარეთის
დახმარების სააგენტო

ISSET POLICY
INSTITUTE
International school of economics at TSU


დასრულებული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა



დასრულებული საქმეების საშუალო
ხანგრძლივობა




დასრულებული საქმეების ხანგრძლივობების
განაწილება



- საქმის ხანგრძლივობა
- საშუალო ხანგრძლივობა (ძველი კანონი)
- ▲ საშუალო ხანგრძლივობა (ახალი კანონი)

წყარო: www.ecourt.ge

მიმდინარე საქმეების საშუალო და მედიანური ხანგრძლივობა




წყარო: www.ecourt.ge



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



რეაბილიტაციის წილი წამოწყებულ საქმეებში



წყარო: www.ecourt.ge

შენიშვნა: ძველი კანონის შემთხვევაში განხილულია ის საქმეები, რომლებიც დაიწყო 7/14/2019-დან 3/31/2021 პერიოდში



USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



გადახდისუუნარობის | საჯარო - კერძო დიალოგზე გაჟღერებული მთავარი გამოწვევები



-კერძო სექტორში კანონის სარგებლის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე

- გადახდისუუნარობის პროცესის, როგორც რეაბილიტაციის სერვისის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა
- მთავარი გამოწვევა ახალი კანონის წარმატებული აღსრულებისთვის

-ფიზიკურ პირთა გადახდისუუნარობის რეგულირება

- მნიშვნელოვანი წინაპირობა გადახდისუუნარობის პროცესის სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ქვეყანაში

-ხარვეზები რეფორმის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურული/პროფესიული ინსტიტუტების ფორმირებისას

- საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის ფუნქციონირება
- გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სასერტიფიკატო მოდულის შეზღუდული ვადები





გმადლობთ




USAID
ამერიკელი ხალხისგან

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

ISSET POLICY
INSTITUTE
International school of economics at TSU

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა



რეფორმები

შენი გზამკვლევი რეფორმებში